შპს „კასტელი-საქართველო"
„CASTEL-SAKARTVELO" LTD

Ref. 55-12/E

«23» აპრილი 2012წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით შპს "კასტელი-საქართველოს" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ალენ ფ.რ.ვ.გ ფილიპარს **(Alain F.R.V.G. Philippart)** *(დაბ. 18.06.1946წ. პასპორტის № EG515609; ტიპი P, სერია BEL, გაც. 14.11.2007წ. ანკარაში ბელგიის საელჩოს მიერ)* ენიჭება უფლებამოსილება, რომ იყოს შპს "კასტელი-საქართველოს" წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოსა და დაწესებულებაში, მათ შორის სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და თბილისის არქიტექტურის სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებში, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში, მათ შორის შემოსავლების სამსახურსა და საგადასახადო ინსპექციებში, სანოტარო ბიუროებში, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, სატელეფონო კომპანიებსა და საფოსტო ორგანიზაციებში, აგრეთვე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში. იგი უფლებამოსილია შპს "კასტელი-საქართველოს" სახელით მიმართოს ზემოაღნიშნულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს განცხადებებითა და საჩივრებით, აწარმოოს კორესპონდენცია, გამოითხოვოს აღნიშნული ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია, ცნობა და დოკუმენტი, ხელი მოაწეროს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, აწარმოოს საბანკო ოპერაციები. იგი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ საბუთს და განახორციელოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალებების შესრულებასთან. აგრეთვე, იგი უფლებამოსილია ცალკეული ზემოაღნიშნული დავალების შესრულება მიანდოს სხვა პირს.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია გაცემიდან ორი თვის განმავლობაში.

გენერალური დირექტორი

ბახტიარ ბაირამოვი

თბილისი 0151, კახეთის გზატკეცილი, ლილოს ლუდის ქარხანა. ს/კ 201948768. ტელ: (995 90) 26 11 48.
საბანკო რეკვიზიტები: სს «კორ სტანდარტ ბანკი», თბილისი, საქართველო; კოდი 220101945; ანგარიში № 458447.
E-Mail: lilo@castel.ge
Tbilissi 0151, Chaussée Kakhéti, Brasserie Lilo. C/I 201948768. tel: (995 90) 26 11 48.
Coordonnées bancaires: JSC «KOR Standard Bank», Tbilissi, Géorgie; SWIFT: AGREGE22; Compte No 458447 EUR/USD.

შპს „კასტელი-საქართველო”
„CASTEL-SAKARTVELO” LTD

Ref. 69-12/E

«27» მარტი 2012წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით შპს “კასტელი-საქართველო”-ს იურისტს, გულიკო გოგალაძეს *(დაბ. 20.07.1987. პ/მ № გ 0517610, პ. № 59001024416, გაც. 23.06.2004წ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შსს I განყ. მიერ; მცხ. თბილისი, დიღმის მასივი, I კვ, კორპ. №3ა, ბინა №53)* ვანიჭებ უფლებამოსილებას, რომ იყოს შპს “კასტელი-საქართველოს” წარმომადგენელი თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში. იგი უფლებამოსილია შპს “კასტელი-საქართველოს” სახელით განცხადებით მიმართოს თბილისის არქიტექტურის სამსახურს შპს “კასტელი-საქართველოს” მიერ იჯარით აღებული ობიექტების (არასაცხოვრებელი ფართის) გარე ფასადზე აბრებისა და რეკლამების განსათავსებლად შპს “კასტელი-საქართველოს” სახელზე შესაბამისი ნებართვების გაცემის მოთხოვნით, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის არქიტექტურის სამსახურში ელექტრონული და/ან ზებირი ფორმით წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, შპს “კასტელი-საქართველოს” სახელით მიიღოს გაცემული ნებართვები, ასევე განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება და ხელი მოაწეროს ნებისმიერ საბუთს, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია გაცემიდან ერთი თვის განმავლობაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ალენ ფუფლიპარი

თბილისი 0151, ქახეთის გზატკეცილი, ლილოს ლუდის ქარხანა. ს/კ 201948768. ტელ: (995 90) 26 11 48.
საბანკო რეკვიზიტები: სს «კორ სტანდარტ ბანკი», თბილისი, საქართველო; კოდი 220101945; ანგარიში № 458447.
E-Mail: lilo@castel.ge
Tbilissi 0151, Chaussée Kakhéti, Brasserie Lilo. C/I 201948768. tel: (995 90) 26 11 48.
Coordonnées bancaires: JSC «KOR Standard Bank», Tbilissi, Géorgie; SWIFT: AGREGE22; Compte No 458447 EUR/USD.